

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA  
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა  
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY  
НАЦИОНАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА



ბიობიბლიოგრაფიული სერია “ქართველი მეცნიერები”

Biobibliographical Series “Georgian Scholars”

Библиографическая серия “Грузинские ученые”

**Niko**  
**Muskhlishvili**  
(1891-1976)

Biobibliography

**НИКОЛАЙ**  
**ИВАНОВИЧ**  
**МУСХЕЛИШВИЛИ**  
(1891-1976)

Биобиблиография

Tbilisi 2011 Тбилиси

ნიკო  
მუსხელიშვილი

(1891-1976)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი  
2011

დიდი ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის 120 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ განმეორებით გამოსცა, 1980 წელს მისივე გამოცემული (შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ე. დოლიძე), ნ. მუსხელიშვილის ბიო-ბიბლიოგრაფია. ამ გამოცემას, წინასთან შედარებით ოდნავ განსხვავებული ფორმატი და ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთა განლაგება აქვს, და იგი მოიცავს 1915–2011 წლების ლიტერატურას: სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო პოპულარული შრომები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან, მისი რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ცალკეა გამოყოფილი საიუბილეო მილოცვები და ლექსები, მიძღვნილი ნიკო მუსხელიშვილისადმი. ბიო-ბიბლიოგრაფიას წინ უძღვის ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. ერთვის სახელთა ანბანური საძიებელი.

В связи с 120 летним юбилеем известного грузинского математика, академика Николая (Нико) Мухелишвили, Национальная научная библиотека издает повторно свою же биобиблиографию 1980 года. Это издание, в отличии от предыдущего, имеет другой формат и порядок библиографических записей. Оно включает материалы 1915–2011 годов: научные труды, научно-популярные труды; статьи из журналов и газет; труды, изданные под его редакцией; а также литература о нем.

Материал расположен хронологическо-алфавитном порядке. Отдельно выделены юбилейные поздравления и стихи, посвященные Н. И. Мухелишвили. Биобиблиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности Н. И. Мухелишвили. Прилагаются именной указатель (алфавитный).

In connection with 120-th anniversary of the famous Georgian mathematician, Academician Nikolai (Nikko) Muskhelishvili, National Scientific Library re-issued Niko Muskhelishvili's biobibliography published 1980. This edition, unlike the previous one, has a different format and order of bibliographical records. It includes Materials 1915–2011 period: scientific works, scientific-popular works, articles from magazines and newspapers, works published under his editorship and publications about him.

The material is arranged in chronological-alphabetical order. Jubilee congratulations and poems are separately provided. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities of N. Muskhelishvili. Indexes of names are applied in alphabetical order.

რედაქტორი: ი. ღარიბაშვილი  
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: ნ. ბაღათურია  
შემდგენლები: მ. ჟორჟოლიანი, ლ. ხუზია  
დამკვლავადონებელი: თ. ხახუტაშვილი  
გარეკანის დიზაინი: ნ. ხოსრუაშვილი







## სარჩევი

ნიკო მუსხელიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა).....	7
Niko Muskhelishvili (A brief review of his scientific and public activities) .....	27
Николай Иванович Мусхелишвили (Краткий обзор научной и общественной деятельности).....	42
ბ. მუსხელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	59
Основные даты жизни и деятельности Н. И. Мусхелишвили .....	63
The Main Data of Niko Muskhelishvili's Life and Activity .....	67
ნიკო მუსხელიშვილის შრომები .....	71
Niko Muskhelishvili's Works .....	71
Труды Нико Мусхелишвили.....	71
სამეცნიერო პოპულარული შრომები .....	88
Scientific-Popular Works .....	88
Научно-популярные труды .....	88
სტატიები ჟურნალ-გაზეთებთან.....	104
Articles from Newspapers and Magazines .....	104
Журнальные и газетные статьи .....	104
ნიკო მუსხელიშვილის რედაქტორობით გამოცემული შრომები.....	132
Works Edited by Niko Muskhelishvili .....	132
Труды, вышедшие под редакцией Нико Мусхелишвили.....	132
ლიტერატურა ნიკო მუსხელიშვილის შესახებ.....	135
Publications About Niko Muskhelishvili.....	135
Литература о Нико Мусхелишвили .....	135
საიუბილეო თარიღები .....	156
Jubilee Dates .....	156
Юбилейные Даты .....	156
დაბადების 60 წლისთავი .....	156
60 Years Anniversary .....	156
60 лет со дня рождения .....	156
დაბადების 70 წლისთავი .....	156



70 Years Anniversary .....	156
70 лет со дня рождения .....	156
დაბადების 75 წლისთავი .....	162
75 Years Anniversary .....	162
75 лет со дня рождения .....	162
დაბადების 80 წლისთავი .....	162
80 Years Anniversary .....	162
80 лет со дня рождения .....	162
დაბადების 85 წლისთავი .....	171
85 Years Anniversary .....	171
85 лет со дня рождения .....	171
დაბადების 90 წლისთავი .....	171
90 Years Anniversary .....	171
90 лет со дня рождения .....	171
დაბადების 95 წლისთავი .....	173
95 Years Anniversary .....	173
95 лет со дня рождения .....	173
დაბადების 100 წლისთავი .....	173
100 Years Anniversary.....	173
100 лет со дня рождения .....	173
დაბადების 110 წლისთავი .....	176
110 Years Anniversary.....	176
110 лет со дня рождения .....	176
ლექსები, მიძღვნილი ნიკო მუსხელიშვილისადმი.....	178
Стихи, посвященные Нико Мусхелишвили .....	178
Poems, Dedicated to Niko Muskhelishvili.....	178
გარდაცვალება და დაკრძალვა .....	179
Смерть и похороны .....	179
Death and Funeral.....	179
სახელთა საძიებელი .....	184
Index of names .....	184
Указатель имен .....	184

ნიკო მუსხელიშვილი  
(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე  
მიმოხილვა)

გამოჩენილი მათემატიკოსისა და მექანიკოსის ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის სახელი ცნობილია მეცნიერთა და სპეციალისტთა ფართო წრისათვის მთელ მსოფლიოში. დრეკადობის თეორიის სახელგანთქმული საბჭოთა სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, სსრ კავშირის მექანიკოსთა მეთაურმა, საქართველოში მძლავრი მათემატიკური ცენტრის ორგანიზატორმა და მისმა იდეურმა ხელმძღვანელმა, პირველმა და – ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უცვლელმა – პრეზიდენტმარესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა, რომელიც დაარსებული იყო მისივე უშუალო მონაწილეობით, უდიდესი გავლენა მოახდინა სამამულო მეცნიერების განვითარებაზე.

ნ. მუსხელიშვილმა იმ დიდებულ ქართველ მეცნიერთა პლეადაში დაიმკვიდრა სამუდამო ადგილი, რომელთა მოღვაწეობა ყოველთვის მისაზამ მაგალითად დარჩება შთამომავლობას. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ვალმოხდილი მეცნიერი 1976 წლის 20 ივლისს მთაწმინდის მიწას მიაბარა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1891 წლის 15 თებერვალს, სამხედრო ინჟინრის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის მეორე გიმნაზიაში (1901-1909 წწ.). გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1909 წელს იგი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1914 წ. მან დაამთავრა უნივერსიტეტი და დატოვეს თეორიული მექანიკის კათედრაზე „პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად“. მაშინ ამ კათედრაზე, რომელსაც განაგებდა ცნობილი მეცნიერი დ. ბობილევი, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა პროფესორი გური ვასილის ძე კოლოსოვი, რომელიც თავის გამოკვლევებში დრეკადობის თეორიის ამოცანების ამოსახსნელად წარმატებით იყენებდა კომპლექსური

ცვლადის ფუნქციათა თეორიას. ამ თემატიკამ გაიტაცა ახალგაზრდა ნ. მუსხელიშვილი და უკვე 1915 წ. გამოდის მისი პირველი ნაშრომები, შესრულებული გ. კოლოსოვთან ერთად: „დრეკადი წრიული დისკოების წონასწორობის შესახებ“. ამ ნაშრომში პირველად იქნა ცხადად აგებული წრიული არისათვის დრეკადობის ბრტყელი თეორიის ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნები. ამის შემდეგ იწყება ნ. მუსხელიშვილის ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობა დრეკადობის თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის რიგი ამოცანების შესასწავლად.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ნ. მუსხელიშვილი იწყებს აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. პეტროგრადში ყოფნის დროს იგი ასწავლიდა მათემატიკასა და მექანიკის სხვადასხვა დისციპლინას უნივერსიტეტსა და ზოგიერთ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ნ. მუსხელიშვილი მიიწვია თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ. სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი, ერთი მხრივ, ენერგიულად განაგრძობს რუსეთში დაწყებულ სამეცნიერო კვლევა-ძიებით მუშაობას, ხოლო, მეორე მხრივ, ა. რაზმამესთან, გ. ნიკოლაძესა და ა. ხარაძესთან ერთად იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოში უმაღლესი ფიზიკა-მათემატიკური და ტექნიკური განათლების ორგანიზაციისათვის.

1926-1928 წლებში ნ. მუსხელიშვილი თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, 1928-1930 წწ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, ხოლო 1930-1935 წლებში – ჯერ პედაგოგიური ინსტიტუტის, შემდეგ კი – თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში ნ. მუსხელიშვილმა ქართულ ენაზე შეადგინა სამი ორიგინალური სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის: ანალიზურ გეომეტრიაში (1922 წ.), თეორიულ მექანიკაში ნაწ. 1, სტატიკა (1926 წ.) და ნაწ. 2, კინემატიკა (1928 წ.). შემდეგში ანალიზური გეომეტრიის კურსი

რამდენჯერმე გამოიკა რუსულ ენაზე მოსკოვში<sup>1</sup>. წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ანალიზური გეომეტრია უმთავრესად ამ სახელმძღვანელოს მიხედვით იკითხებოდა.

1922 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ფრანგულ ენაზე აქვეყნებს ნ. მუსხელიშვილის პირველ სამეცნიერო მონოგრაფიას "კომის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი პრობლემის ამოსახსნელად". ამ შრომის გამოქვეყნების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი აირჩია პროფესორად (1922 წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მუსხელიშვილს, როგორც მეცნიერს, იზიდავდა მათემატიკური პრობლემები, რომლებიც წამოჭრილია ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ამოცანების შესწავლასთან დაკავშირებით. აქ აშკარად იგრძნობა ის გავლენა, რომელიც სტუდენტობის წლებში მასზე მოუხდენია პეტერბურგის მათემატიკური სკოლის ტრადიციებს, თავის დროზე რომ დანერგეს ამ სკოლის გამოჩენილმა მესვეურებმა – ეილერმა, ოსტროგრადსკიმ, ჩევიშევმა, ლიაპუნოვმა, მარკოვმა, სტეკლოვმა და სხვ. ნ. მუსხელიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით დიდად შეუწყო ხელი პეტერბურგის მათემატიკური სკოლის ტრადიციების განგრძობასა და განვითარებას.

მექანიკის ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში, აღიძრა ინტერესი კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიისადმი. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ რუს მეცნიერებს – ნ. ჟუკოვსკისა და ს. ჩაპლიგინს. მათმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ჰიდროაეროდინამიკაში ცხადი გახადა, თუ როდენ დიდი როლი შეუძლია შეასრულოს კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიამ რიგი მნიშვნელოვანი გამოყენებითი ხასიათის ამოცანების ამოსახსნელად. ეს გარემოება ასევე წარმატებით იქნა შემდგომ დადასტურებული გ. კოლოსოვისა და ნ. მუსხელიშვილის გამოკვლევებში დრეკადობის თეორიის ამოცანების შესწავლის დროსაც. ამ მიმართულებით

---

<sup>1</sup> ეს სახელმძღვანელო ითარგმნა და გამოიკა დასავლეთშიც.

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ნ. მუსხელიშვილის მეორე მონოგრაფიამ. "დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა", რომელიც პირველად 1933 წელს გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ. ეს მონოგრაფია უკვე ხუთჯერაა გამოცემული; მან დიდი გავლენა მოახდინა დრეკადობის მათემატიკური თეორიის (განსაკუთრებით ბრტყელი თეორიის) განვითარებაზე როგორც ჩვენს კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დრეკადობის მათემატიკური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის, რომლებიც ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოჩნდნენ სამეცნიერო სარბიელზე, ბევრი ნ. მუსხელიშვილის უშუალო მოწაფეა ან აღზრდილია მის შრომებზე. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ოცდაათიანი წლების განმავლობაში ნ. მუსხელიშვილი ხშირად კითხულობდა ლექციებს ლენინგრადში დრეკადობის თეორიაში სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის.

კომპლექსური ცვლადის ანალიზური თეორიის მეთოდების მოშველიებით დრეკადობის თეორიის ამოცანების სისტემატურმა შესწავლამ ნ. მუსხელიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული მეთოდების უკეთესად მოსამარჯვებლად მათემატიკური ფიზიკის ამოცანების შესწავლისას საჭიროა დამუშავდეს ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული კომის გულიანი ინტეგრალურ განტოლებათა ზოგადი თეორია. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ნ. მუსხელიშვილი იწყებს ამ პრობლემებზე მუშაობას ამასთან დაკავშირებით ორმოციანი წლების დასაწყისში მან დააარსა სამეცნიერო სემინარი კომის ტიპის ინტეგრალებისა და მათი გამოყენების შესახებ. ამ სემინარს წილად ხვდა შეესრულებინა წამყვანი როლი ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებისა და კომის გულიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის განვითარების საქმეში. ძირითად შედეგებს, რომელიც დაადგინეს სემინარის მუშაობის პროცესში მისმა მონაწილეებმა, ნ. მუსხელიშვილმა როგორც ამ სემინარის ხელმძღვანელმა, თავი მოუყარა თავის მესამე მონოგრაფიაში „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები“.

რომელიც პირველად გამოიცა მოსკოვში 1946 წელს (შემდგომ იგი კიდევ ორჯერ გამოიცა). ამ მონოგრაფიამ, რომელშიც ჰოლდერის ფუნქციათა კლასში აგებულია ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანებისა და კომის გულიანი სინგულარული ინტეგრალური განტოლებების დასრულებული თეორია დიდი გავლენა მოახდინა ამ თეორიათა შემდგომ განვითარებაზე. ნ. მუსხელიშვილის ზემოაღნიშნული სამი მონოგრაფია წარმოადგენს მისი სამეცნიერო კვლევა-ძიების მიღწევათა შემაჯამებელ ნაშრომს. ამ მიღწევათა ძირითად მომენტებზე ქვემოთ გვაქვს ლაპარაკი. აქ კი აღვნიშნოთ, რომ ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს მათემატიკური ფიზიკის, კერძოდ, დრეკადობის მათემატიკური თეორიის ამოცანების შესასწავლად კომპლექსური ანალიზის მეთოდების სისტემატური გამოყენება. ხსენებული მეთოდების მოშველიებით მან მოახერხა დრეკადობის ბრტყელი თეორიისათვის მიეცა, გარკვეული აზრით, დასრულებული სახე. საჭიროა აღინიშნოს ორი ზოგადი პრინციპული ხასიათის მომენტი, რომელიც ნ. მუსხელიშვილის გამოკვლევებიდან გამომდინარეობს და რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მათემატიკური ფიზიკის მრავალი პრობლემის გამოკვლევაზე. სახელდობრ, დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები, რომ ჰარმონიულ და ბიჰარმონიულ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების ამოსახსნელად წარმატებით გამოიყენება ამ განტოლებათა ამონახსნების ზოგადი წარმოდგენები, აგებული კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციების მეშვეობით. ამით ნ. მუსხელიშვილმა უარჰყო ზოგიერთი გამოჩენილი მათემატიკოსის კატეგორიულად გამოთქმული თვალსაზრისი, თითქოს დიფერენციალურ განტოლებათა ზოგად ამონახსნებს არ ძალუძთ რაიმე სარგებლობის მოტანა სასაზღვრო ამოცანების შესწავლის დროს. გარდა ამისა, მანვე ასევე დამაჯერებლად აჩვენა, რომ მათემატიკური ფიზიკის ბრტყელი ამოცანების შესწავლის დროს კომის ტიპის ინტეგრალები და კომის გულიანი სინგულარული განტოლებები ხშირად უფრო მოხერხებულ, ხოლო რიგ შემთხვევაში უფრო ეფექტურ აპარატს წარმოადგენს, ვიდრე ჰარმონიულ პოტენციალთა კლასიკური მეთოდი და ფრედჰოლმის

ინტეგრალური განტოლებები.

დრეკადობის მათემატიკური თეორიის დამუშავებაში შეტანილი დიდი წვლილის გამო ნ. მუსხელიშვილი 1933 წელს არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტად. 1934 წელს მის მიერ აღმოჩენილი დრეკადობის ბრტყელი ამოცანების ამოხსნის ზოგადი მეთოდი დიდ მიღწევად იქნა აღიარებული, რის საფუძველზეც 1939 წ. იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, ხოლო მონოგრაფიისათვის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ 1941 წ. მიენიჭა პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია. სასაზღვრო ამოცანებსა და სინგულარულ განტოლებათა თეორიაში. შემდგომი თვალსაჩინო მიღწევებისათვის ნ. მუსხელიშვილს 1945 წ. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო 1946 წ. სახელმწიფო პრემია მეორედ 1969 წ. მათემატიკასა და მექანიკაში ფუნდამენტური გამოკვლევებისათვის ნ. მუსხელიშვილს ტურინის (იტალია) აკადემიამ მიანიჭა საერთაშორისო პრემია და ოქროს მედალი „მოდესტო პანეტი“. 1970 წ. სლოვაკიის აკადემიამ იგი დააჯილდოვა ოქროს მედლით, ხოლო ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმმა – „კირილესა და მეთოდეს“ პირველი ხარისხის ორდენით და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხარისხის ორდენით. 1972 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მას მიანიჭა აკადემიის უმაღლესი ჯილდო – მ. ლომონოსოვის ოქროს მედალი.

ნ. მუსხელიშვილი იყო მრავალი უცხო აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ამგვარად, ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობამ დამსახურებული აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენს კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ყველაზე უფრო მჭერმეტყველური აღიარება მისი სამეცნიერო მემკვიდრეობისა არის უამრავი და განუწყვეტელი მითითება ნ. მუსხელიშვილის ზემოაღნიშნულ მონოგრაფიებზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომელთა თემატიკა ენათესავება ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიების პრობლემატიკას.

დიდი დვალი მიუძღვის ნ. მუსხელიშვილს ქართული მათემატიკური სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების საფუძვლის ჩაყრა მათემატიკის დარგში წილად ხვდა ანდრია რაზმაძეს (ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს იმ მცირერიცხოვან გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ჯგუფში, რომლებმაც ითავეს ეროვნული უნივერსიტეტის ორგანიზაცია). ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებაში მას იმთავითვე მხარში ამოუდგნენ ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე და ა. ხარაძე. ოციანი წლების მიწურულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში ქართველ მათემატიკოსთა ახალგაზრდა კოლექტივმა დიდი დანაკლისი განიცადა – შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში გარდაიცვალნენ ა. რაზმაძე (1929 წ.) და გ. ნიკოლაძე (1931 წ.). შექმნილ ვითარებაში სამეცნიერო კვლევა-ძიების ორგანიზაციის მთელი სიმძიმე ნ. მუსხელიშვილს დააწვა.

ოციანი წლების მეორე ნახევარში მწვავედ დაისვა სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების მასშტაბების საგრძნობლად გაზრდის საკითხი, რაც გამოწვეული იყო უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებით. ვინაიდან იმ დროს ადგილზე საჭირო რაოდენობით კადრების მომზადების საშუალება არ არსებობდა, გადაწყდა, მათი მომზადება დაწყებულიყო თბილისის უნივერსიტეტის ნიჭიერ კურსდამთავრებულთაგან მოსკოვსა და ლენინგრადში მივლინებებით. კადრების მომზადების ამ გზას თაოსნობდა ნ. მუსხელიშვილი. ასე მომზადდა ქართველ მათემატიკოსთა პირველი თაობა (რომელთა შორის იყვნენ ვ. კუპრაძე, ი. ვეკუა, შ. მიქელაძე და სხვ.) ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ნ. მუსხელიშვილის მეთაურობით დაიწყო ჩამოყალიბება საერთო სამეცნიერო ინტერესებით გაერთიანებულმა ქართველ მათემატიკოსთა კოლექტივმა. გასაკვირი არაა, რომ ეს ინტერესები ძირითადად დაკავშირებული იყო კოლექტივის მეთაურის სამეცნიერო პრობლემატიკასთან – დრეკადობის თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის ამოცანებთან. ამ კოლექტივის ჩამოყალიბების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1933



წელი, როცა ნ. მუსხელიშვილის ინიციატივით გადაწყდა თბილისის უნივერსიტეტთან ფიზიკის, მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტის დაარსება ოთხი სექციით: ა) მათემატიკისა და მექანიკის, ბ) თეორიული ფიზიკის, გ) ექსპერიმენტული ფიზიკისა და დ) გეოფიზიკის. ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ნ. მუსხელიშვილი, სწავლულ მდივნად – ი. ვეკუა. მათემატიკისა და მექანიკის სექცია მუშაობას შეუდგა 1933 წლის 1 ნოემბერს. 1935 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ორგანიზაციის შემდეგ ეს სექცია გადატანილ იქნა ფილიალში და მის ბაზაზე დაარსდა მათემატიკის ინსტიტუტი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციის შემდეგ (1941 წ.) იგი გახდა მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი, რომელსაც 1941 წლამდე ხელმძღვანელობდა ვ. კუპრაძე, ხოლო 1941 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1976 წლის 15 ივლისი) – ნ. მუსხელიშვილი. ინსტიტუტს 1944 წელს მიენიჭა ა. რაზმაძის სახელი. ეს ინსტიტუტი გადაიქცა ქართული მათემატიკური სკოლის ძირითად ბაზად, რომელმაც თავი მოუყარა შემოქმედებითი უნარის მქონე მათემატიკოსებს და შეუქმნა მათ კოლექტიურად მუშაობის ხელსაყრელი პირობები. იმისათვის, რომ ხელი შეწყობოდა ჩვენში სხვა დარგების განვითარებას და გაღრმავებულიყო მუშაობა უკვე დამკვიდრებულ თემატიკაში, ნ. მუსხელიშვილის ინიციატივით ინსტიტუტმა სხვადასხვა დროს კონსულტანტებად მოიწვია გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსები – ს. ბერნშტეინი, მ. ლავრენტიევი, ვ. სმირნოვი, ა. კოლმოგოროვი, მ. კელდიში, პ. ალექსანდროვი და სხვები.

ინსტიტუტის დაარსებასთან დაკავშირებით მოხდა არსებითი გარდატეხა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში, საფუძველი ჩაეყარა კადრების სისტემატურ მომზადებას ადგილზე; მათი საკვალიფიკაციო შრომების უმრავლესობის თემატიკა დაკავშირებული იყო ნ. მუსხელიშვილის მიერ დანერგილ პრობლემატიკასთან. ამ პერიოდიდან მოყოლებული მოსკოვსა და ლენინგრადში ახალგაზრდები იგზავნებოდნენ მათემატიკის მხოლოდ იმ დარგში, რომელიც

ინსტიტუტში ჯერ კიდევ არ იყო სათანადო დონეზე. დღეს საქართველოში სამეცნიერო კვლევა-ძიება თანამედროვე მათემატიკის თითქმის ყველა დარგში ამა თუ იმ ინტენსივობით წარმოებს.

ორმოცდაათიან წლებში, როცა დღის წესრიგში მწვავედ დადგა გამოთვლით მათემატიკასა და გამოთვლით ტექნიკაში მუშაობის ფართოდ გაშლის ამოცანა, დაისვა საკითხი ამ მიზნის განსახორციელებლად სპეციალური დანიშნულების მათემატიკის მეორე ინსტიტუტის ორგანიზაციისა. 1956 წ. ნ. მუსხელიშვილის ინიციატივით, ძირითადად ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის ბაზაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი, რომელიც ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახელს ატარებს. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზაციაში.

ნ. მუსხელიშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებას, 1935-1938 წწ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1938 – 1941 წწ. – თავმჯდომარე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციისთანავე (1941) იგი ხდება აკადემიის პრეზიდენტი და ამ თანამდებობაზე უცვლელად მუშაობს 1972 წლამდე, ხოლო ამის შემდეგ მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად.

ნ. მუსხელიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობაშიც. ოცდაათიან წლებში იგი ამ აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში თანამშრომლობს, ხოლო 1942-1953, 1957-1972 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრია.

1957 წელს ნ. მუსხელიშვილი არჩეულ იქნა თეორიული და გამოყენებითი მექანიკის სსრკ ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ მოვალეობას იგი ასრულებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

დიდი სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ნ. მუსხელიშვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი 1972 წლამდე. არაერთხელ ყოფილა სკკპ და საქართველოს კომპარტიის ყრილობათა დელეგატი, საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ნ. მუსხელიშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის 6 ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის ძირითად მიღწევებს, რომლებმაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს სათანადო პრობლემების განვითარებაზე.

ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო გამოკვლევების დიდი ნაწილი მიძღვნილია მექანიკისა და მათემატიკის შემდეგი სამი პრობლემისადმი: 1) დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანები; 2) ერთგვაროვანი და შედგენილი ძელების გრეხა და ღუნვა; 3) სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები.

დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანები. ასეთი ამოცანის ქვეშ ესმით დრეკადი სხეულის ისეთი დეფორმაციის შესწავლა, როცა სხეულის ნაწილაკები რაღაც სიბრტყის პარალელურად გადაადგილდებიან და, გარდა ამისა, დეფორმაციის სურათი ამ სიბრტყის პარალელურ სიბრტყეში ერთნაირია.

დრეკადობის ბრტყელი თეორიის ძირითად სასაზღვრო ამოცანებს ჩვეულებრივ უწოდებენ სხეულის დრეკადი წონასწორობის განსაზღვრის ამოცანას იმ პირობით, რომ: საზღვარზე მოცემულია გარე ძაბვების ველი (პირველი ძირითადი ამოცანა), საზღვარზე მოცემულია გადაადგილებათა ველი (მეორე ძირითადი ამოცანა), საზღვრის ერთ ნაწილზე მოცემულია ძაბვების ველი, ხოლო დანარჩენზე – გადაადგილებათა ველი (ძირითადი შერეული ამოცანა).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნ. მუსხელიშვილის მიერ

დრეკადობის თეორიის ამოცანების ამოსახსნელად დამუშავებული მეთოდებისათვის დამახასიათებელია კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სისტემატური გამოყენება. ამ გამოყენების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ფორმულები:

$$\begin{aligned}
 2\mu (u + iv) &= x\varphi(z) - \overline{z\varphi'(z)} - \psi(z), \\
 X_x + Y_y &= 2[\varphi'(z) + \overline{\varphi'(z)}], \\
 Y_y - X_x + 2iX_y &= 2[\overline{z}\varphi''(z) + \psi'(z)],
 \end{aligned}
 \tag{1}$$

სადაც  $u, v$  გადაადგილების ვექტორის კომპონენტებია,  $X_x, Y_y, X_y$ -ძაბვის ტენზორის კომპონენტებია,  $x = (\lambda + 3\mu)/(\lambda + \mu)$ , სადაც  $\lambda, \mu$  ლამეს მუდმივებია, ხოლო  $\varphi, \psi$  - ანალიზური ფუნქციები დრეკადი სხეულის მიერ დაკავებულ  $S$  არეში. (1) ფორმულებს მიაგნო გ. კოლოსოვმა 1909 წ., შემდეგში ამ ფორმულების მართებულობა დაასაბუთა ნ. მუსხელიშვილმა, როცა  $S$  მრავლადბმული სასრული ან უსასრულო არეა.

$$a\varphi(t) - t\varphi'(t) + \overline{\psi(t)} = f(t),
 \tag{2}$$

(1) ფორმულების გამოყენებით ბრტყელი დრეკადობის თეორიის ამოცანების ამოსხნა მიიყვანება ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შემდეგ სასაზღვრო ამოცანაზე: ვიპოვოთ  $S$  არეში ისეთი  $\varphi$  და  $\psi$  - ანალიზური ფუნქციები, რომლებიც  $S$  არის საზღვარზე აკმაყოფილებენ პირობას სადაც  $a$  ნამდვილი მუდმივია (სხეულის დრეკად მუდმივებზე დამოკიდებული), ხოლო  $f$  ცნობილი ფუნქცია.

ამ ამოცანის ამოსახსნელად ნ. მუსხელიშვილმა დაამუშავა რამდენიმე მეთოდი. ამ მეთოდთაგან ერთ-ერთი პირველი არსებითად ემყარება  $S$  არის კონფორმულად გადასახვას წრეზე  $|\zeta| < 1$  და წრეში სამიებელი ფუნქციის ხარისხოვან მწკრივად

წარმოდგენას. გასაგებია, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ  $S$  არე მარტივადბმულია. ამ გზით ამოცანის ამოხსნისას ალგებრულ განტოლებათა უსასრულო ალგებრული სისტემის ნაცვლად განტოლებათა სასრულ სისტემასთან გვაქვს საქმე. ეს ასეა, მაგალითად, როცა კონფორმულად გადამსახველი ფუნქცია მრავალწევრია.

ნ. მუსხელიშვილის მიერ დამუშავებული მეორე მეთოდი (2) ამოცანის ამოხსნელად ემყარება კონფორმულ ასახვას და გარკვეულ ფუნქციონალურ ან ფრედჰოლმის ინტეგრალურ განტოლებებს თუ  $S$  არის  $|\zeta| < 1$  წრეზე გადამსახველ ფუნქციას აღვნიშნავთ  $\omega$ -ით, მაშინ (2) სასაზღვრო პირობა მიიღებს ასეთ სახეს:

$$\alpha \Phi(t) - \frac{\omega(t)}{\omega'(t)} \overline{\Phi'(t)} - \overline{\Psi(t)} = g(t), \quad |t|=1.$$

ამ ამოცანის ამოხსნა დაიყვანება ფუნქციონალურ განტოლებაზე

$$\alpha \Phi(\xi) - \frac{1}{2\pi i} \int_{|t|=1} \frac{\omega(t) - \omega(\xi)}{\omega'(t)(t-\xi)} \overline{\Phi'(t)} dt = A(\xi), \quad |\xi| < 1, \quad (4)$$

სადაც

$$A(\xi) = \frac{1}{2\pi i} \int_{|t|=1} \frac{g(t)}{t-\xi} dt.$$

ფუნქციონალური განტოლება (4) საშუალებას იძლევა რიგ შემთხვევაში მარტივად აიგოს ამოცანის ზუსტი ამონახსნი. ეს ასეა, მაგალითად, როცა გადამსახველი ფუნქცია  $\omega$  რაციონალურია. ამ შემთხვევაში (4) ტოლობის მარცხნივ მონაწილე ინტეგრალი რაციონალურ ფუნქციას წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებული იქნება  $\Phi$  საძიებელი ფუნქციის ხარისხოვანი გამწვრივების

კოეფიციენტთა სასრულ რაოდენობაზე. ამ კოეფიციენტების განსასაზღვრავად ვიღებთ ალგებრულ განტოლებათა სასრულ სისტემას, საიდანაც ისინი განისაზღვრებიან ცალსახად. როცა  $\Phi$  ფუნქცია მოძებნილია,  $\psi$  -ს ვიპოვით (3) ტოლობის გამოყენებით. ამ გზით ნ. მუსხელიშვილმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი დებულება, რომ დრეკადობის ბრტყელი ამოცანა ისეთი  $S$  არისათვის, რომელიც რაციონალური ფუნქციით გარდაისახება წრეზე, ამოიხსნება კვადრატურებისა და სასრულ წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის საშუალებით.

ეს მეთოდი პრაქტიკული თვალსაზრისით საკმაოდ ზოგადი და იმავე დროს ეფექტურია, როცა  $S$  მარტივად მზღული სასრული ან უსასრულო არეა. მართლაც, როგორც ცნობილია, ასეთი არე წინასწარ დასახელებული სიზუსტით შეიძლება რაციონალური ფუნქციის საშუალებით კონფორმულად გადავსახოთ წრეზე. ამიტომ, თუ გამოვიყენებთ მიახლოებით კონფორმულად გადასახვის კარგად დამუშავებულ წესებს, ნ. მუსხელიშვილის ზემოაღნიშნული მეთოდი საშუალებას მოგვცემს ამოცანის ამოხსნა დავიყვანოთ "რიცხვამდე".

ნ. მუსხელიშვილმა აჩვენა, რომ როცა კონფორმულად გადამსახველი ფუნქცია არაა რაციონალური, მაშინ (4) ფუნქციონალური განტოლება საშუალებას იძლევა ავაგოთ ფრედჰოლმის მეორე გვარის ინტეგრალური განტოლება და ამ უკანასკნელის გამოკვლევის საშუალებით დავამტკიცოთ დრეკადობის ბრტყელი თეორიის ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის არსებობა საკმაოდ ფართო კლასის მარტივად მზღული არეების შემთხვევაში. შევნიშნავთ, რომ ამ გზით პირველად იქნა მკაცრად დამტკიცებული ძირითადი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის არსებობა მარტივად მზღული უსასრულო არის შემთხვევაში, ამასთანავე ნ. მუსხელიშვილმა დააზუსტა ამოცანის დასმა და გაასწორა ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც მისმა წინამორბედებმა დაუშვეს.

1934 წელს ნ. მუსხელიშვილმა შეიმუშავა დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის უფრო ზოგადი მეთოდი. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს (2) ამოცანა (და,

მაშასადამე, დრეკადობის ბრტყელი თეორიის ძირითადი ამოცანები) კოშის ტიპის ინტეგრალების მეშვეობით მივიყვანოთ (როცა  $S$  არეს საზღვარი  $L$  საკმაოდ გლუვია) შემდეგი სახის მარტივი, მეორე გვარის ფრედჰოლმის ინტეგრალურ განტოლებამდე:

$$\begin{aligned}
 & -a\overline{\varphi(t)} + \frac{a}{2\pi i} \int_L \overline{\varphi(t)} \, d \log \frac{t-t_0}{\bar{t}-\bar{t}_0} + \frac{1}{2\pi i} \int_L \varphi(t) \, d \frac{\bar{t}-\bar{t}_0}{t-t_0} = \\
 & = -\frac{1}{2} \overline{f(t_0)} + \frac{1}{2\pi i} \int_L \frac{\overline{f(t)}}{t-t_0} \, dt, \quad t_0 \in L, \quad (5)
 \end{aligned}$$

როგორც ვხედავთ ინტეგრალური განტოლების გული ცხადადაა აგებული ელემენტარული ფუნქციებით. ამ გზით წარმოიშვა შესაძლებლობა დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანები შევისწავლოთ ნებისმიერი სასრული ბმულობის არეებისათვის.

ვინაიდან (5) ინტეგრალური განტოლების გულს მარტივი აგებულება აქვს, ამიტომ ეს განტოლება საშუალებას გვაძლევს მისი ამონახსნის ასაგებად გამოვიყენოთ მიახლოებითი მეთოდები.

5. მუსხელიშვილს, გარდა ძირითადი სასაზღვრო ამოცანებისა, შესწავლილი აქვს სხვადასხვა დასმით განხილული შერეული ამოცანაც. ასე, მაგალითად, მან გამოიკვლია ამოცანა, როცა საზღვარზე გარე ძალთა მხები კომპონენტი ისპობა, ხოლო გადაადგილების ნორმალური კომპონენტი მოცემული ფუნქციაა. ეს ამოცანა მან ეფექტურად ამოხსნა ისეთი სასრული ან უსასრულო არეებისათვის, რომლებიც რაციონალური ფუნქციების საშუალებით კონფორმულად აისახება წრეზე.

გამოყენებით ამოცანებში, მაგალითად, ნგრევის მექანიკაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დრეკადი ნახევარ-სიბრტყის და ერთ წრფეზე დალაგებული სწორხაზოვანი ჭრილების მქონე სიბრტყის შემთხვევაში დრეკადობის თეორიის

ამოცანების ამოხსნის ნ. მუსხელიშვილისეული მეთოდი, რომელიც მან შეიმუშავა 40-იან წლებში. მეთოდი ემყარება კომპლექსური პოტენციალების ანალიზურ გაგრძელებას და დრეკადობის თეორიის ამოცანების დაყვანას ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ისეთ სასაზღვრო ამოცანაზე, რომელიც ცხადი სახით ამოიხსნება. ეს მეთოდი, რომლის სხვადასხვა ვარიანტი დღემდე ხშირად გამოიყენება, წარმოადგენს თანამედროვე ბზართა თეორიის თეორიულ საფუძველს.

ერთგვაროვანი და შედგენილი ძელების გრეხა და ღუნვა. მნიშვნელოვანი შედეგები აქვს ნ. მუსხელიშვილს ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი ძელების ღუნვისა და გრეხის ამოცანებში. ერთგვაროვანის შემთხვევაში ეს ამოცანა, რომელიც პირველად შეისწავლა სენ-ვენანმა, მიიყვანება დირიხლეს ამოცანის ერთ კერძო სახემდე. ამ უკანასკნელის ამოსახსნელად ნ. მუსხელიშვილმა მოგვცა ფორმულა, რომელიც რიგ კერძო შემთხვევაში (მაგალითად, როცა არის წრეზე კონფორმულად გადამსახავი ფუნქცია რაციონალურია) ეფექტურ შედეგს გვაძლევს.

ნ. მუსხელიშვილმა საგრძნობლად განაზოგადა სენ-ვენანის ამოცანა. მან პირველმა შეისწავლა გრეხისა და ღუნვის ამოცანები ისეთი პრიზმატული სხეულებისათვის, რომლებიც შედგენილია სხვადასხვა მასალისაგან გაკეთებული ერთგვაროვანი პრიზმატული ძელებისაგან; იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელნი შეკავშირებულია ერთიმეორისაგან გვერდითი ზედაპირების გასწვრივ. ამასთან ყოველ შემადგენელ ძელს თავისი დრეკადობის მუდმივები მოეპოვება. ზოგად შემთხვევაში შედგენილი ძელის გრეხის ამოცანის ამოხსნა მიყვანილია ფრედჰოლმის ტიპის ინტეგრალურ განტოლებამდე და დამტკიცებულია ამ უკანასკნელის ამონახსნის არსებობა. რაც შეეხება შედგენილი ძელის ღუნვის ამოცანას, ნ. მუსხელიშვილმა შეისწავლა იმ შემთხვევაში, როცა შემადგენელ ძელთათვის პუასონის კოეფიციენტები ერთი და იგივეა. აღნიშნული ამოცანების ამოხსნის ზოგადი მეთოდების დამუშავებასთან ერთად, ნ. მუსხელიშვილმა შემოგვთავაზა რიგი სხვა კერძო ხასიათის ხერხი, რომლებიც



სამუალებას იძლევა ამოვხსნათ ბევრი, პრაქტიკულად საინტერესო ამოცანა.

სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები. ნ. მუსხელიშვილის გამოკვლევათა ერთი ვრცელი ციკლი შეეხება ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შემდეგ სასაზღვრო ამოცანებს:

$$\Phi^+(t) = G(t)\Phi^-(t) + g(t), \quad t \in L, \quad (6)$$

$$a(t)u(t) - b(t)v(t) = c(t), \quad t \in L \quad (7)$$

და

კომის გულიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს

$$A(t_0)\varphi(t_0) + \int_L \frac{K(t_0, t)\varphi(t)dt}{t-t_0} = f(t_0), \quad t_0 \in L. \quad (8)$$

(6) ამოცანას ნ. მუსხელიშვილი უწოდებს წრფივი შეუღლების ამოცანას, ხოლო (7) - რიმან-ჰილბერტის ამოცანას.

(6)ამოცანაში  $\Phi_+$ ,  $\Phi_-$  აღნიშნავს  $L$  წირის გასწვრივ გაჭრილ კომპლექსურ სიბრტყეზე საძიებელი ანალიზური ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობებს მარცხნიდან და მარჯვნიდან  $L$ -ზე დადებითი მიმართულების მიმართ.  $G$ ,  $g$  — ცნობილი ფუნქციებია  $L$ -ზე განსაზღვრული. (7) ამოცანაში  $u$ ,  $v$  აღნიშნავს  $L$  მარტივი შვერული წირით შემოსაზღვრულ არეში საძიებელი ანალიზური ფუნქციის  $\Phi = u + iv$  ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილების სასაზღვრო მნიშვნელობებს,  $a$ ,  $b$ ,  $c$  —  $L$ -ზე განსაზღვრული ცნობილი ფუნქციებია. (8) განტოლებაში  $A$ ,  $K$ ,  $f$  — ცნობილი ფუნქციებია,  $\varphi$  — საძიებელი ფუნქციაა და განტოლებაში მონაწილე არასაკუთრივი ინტეგრალი განხილულია კომის მთავარი მნიშვნელობის აზრით.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ (6), (7) ამოცანების, ისევე როგორც (8) განტოლების შესწავლა დამოკიდებულია იმ პირობებზე,

რომელთაც ამოცანებსა და განტოლებაში მონაწილე ცნობილ და საძიებელ ელემენტებს ვუქვემდებარებთ. ამჟამად აღნიშნულ პირობებს ხშირად უწოდებენ «კლასიკურს», როცა  $L$  -ზე განსაზღვრული ფუნქციები, ისევე როგორც საძიებელი ფუნქცია (8) განტოლებაში, ჰოლდერის აზრით, უწყვეტი ან უბან უწყვეტი არიან,  $L$  – მარტივი გლუვი წირია, ხოლო საძიებელი ფუნქცია  $\Phi$  (6), (7) ამოცანებში უწყვეტად გაგრძელებადია  $L$  -ის ყოველ წერტილზე, გარდა, შესაძლოა, წერტილთა სასრული სიმრავლის  $\{c\}-L$ , რომელთა მიდამოში იგი აკმაყოფილებს პირობებს:

$$|\Phi(z)| < \frac{\text{const}}{|z-c|^\alpha}, \quad 0 \leq \alpha = \text{const} < 1.$$

ასეთ ანალიზურ  $\Phi$  ფუნქციას ნ. მუსხელიშვილი უწოდებს უბან-უბან ჰოლომორფულ ფუნქციას  $L$  საზღვრის წირით.

ტ. კარლემანმა 1922 წ. მიუთითა მნიშვნელოვან იდეაზე, რომელსაც (8) განტოლება დაყავს (6) სასაზღვრო ამოცანაზე იმ შემთხვევაში, როცა (8) განტოლების გული  $K$  არაა დამოკიდებული  $t$  ცვლადზე (ე. ი. როცა (8) განტოლება არის ე. წ. დამახასიათებელი სინგულარული ინტეგრალური განტოლება). ამ იდეამ (8) განტოლების გამოკვლევის ამოცანა მჭიდროდ დაუკავშირა (6) ამოცანას.

დამახასიათებელი სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნთა ეფექტურად (კვადრატურებში) აგების სურვილმა, ისევე როგორც რიგი მათემატიკური ფიზიკის ამოცანის შესწავლის ინტერესებმა, ბუნებრივად მოითხოვა აგვეო ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების თეორია ყველა შესაძლო კლასიკურ შეზღუდვაში. ნ. მუსხელიშვილის გამოკვლევებამდე, (6) ამოცანა შესწავლილი ჰქონდა თ. გახოვს (1937 წ.) კლასიკურ შეზღუდვებში, როცა  $L$  ერთი შეკრული მარტივი წირია,  $G$ ,  $g$  ყველგან  $L$  -ზე აკმაყოფილებს ჰოლდერის პირობებს და  $G \neq 0$ . იმ შემთხვევის განხილვისას, როცა  $L$  გახსნილი წირია (ან ასეთი წირების სასრული ერთობლიობაა), თ. გახოვი წააწყდა სერიოზულ დაბრკოლებას; ამასთან დაკავშირებით ნ. მუსხელიშვილმა შემოიღო ფუნქციათა  $H^*$  კლასი.  $L$  გახსნილ

წირთა ერთობლიობაზე ფუნქცია  $\varphi \in H^*$  თუ იგი აკმაყოფილებს ჰოლდერის პირობას ყველგან, გარდა, შეიძლება, ბოლო წერტილებისა, ხოლო ნებისმიერი  $c$  ბოლო წერტილის მიდამოში  $\varphi(t) = (t-c)^{\alpha} \varphi(t)$  სადაც  $\varphi$  აკმაყოფილებს ჰოლდერის პირობას  $c$  ბოლო წერტილის ჩათვლით და  $0 \leq \alpha < 1$ . ნ. მუსხელიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა კოშის ტიპის ინტეგრალი და კოშის სინგულარული ინტეგრალი კოშის გულით, როცა მათი სიმკვრივები  $H^*$  კლასს ეკუთვნის. დადგინდა ზუსტი ფორმულები, რომელნიც აღწერენ აღნიშნულ ინტეგრალთა ყოფაქცევას ბოლო წერტილების მიდამოებში. კერძოდ, დამტკიცდა, რომ  $H^*$  ფუნქციონალური კლასი ინვარიანტულია კოშის გულიანი სინგულარული ინტეგრალით წარმოქმნილი ოპერატორის მიმართ. ამ შედეგებმა საშუალება მისცეს ნ. მუსხელიშვილს აეგო (6) სასაზღვრო ამოცანის სრული თეორია კლასიკურ შეზღუდვებში, როცა  $L$  გახსნილ, არაგადამკვეთ, მარტივ წირთა ერთობლიობაა. ამასთან, მოხერხდა ინდექსის ცნებისა და ამონახსნთა კლასების ისეთი განსაზღვრა, რომ ამოცანის ყველა ამონახსნის ერთობლიობა ცხადად იქნა წარმოდგენილი (კოშის ტიპის ინტეგრალებით) მსგავსად ფორმულისა, რომელიც აგებული იყო შეკრული  $L$  წირის შემთხვევაში. ამ შედეგზე და ზემოაღნიშნულ კარლემანის იდეაზე დაყრდნობით, ნ. მუსხელიშვილმა ააგო ცხადი სახით (კოშის სინგულარული ინტეგრალების საშუალებით) დამახასიათებელი სინგულარული ინტეგრალური განტოლების და მასთან მიკავშირებული განტოლების ყველა ამონახსნი, როცა  $L$  – არაგადამკვეთ გახსნილ, მარტივ წირთა ერთობლიობაა, შემდეგ, ასეთივე  $L$  კონტურისათვის მან დ. კვესელავასთან ერთად დაადგინა ნეტერის თეორემები ზოგადი (8) განტოლების შემთხვევაში.

შემდეგში ნ. მუსხელიშვილმა მოხსენებული შედეგები განაზოგადა იმ შემთხვევაზე, როცა  $L$  ნებისმიერი უბან-უბან გლუვი წირია (ე. ი. როცა  $L$  გაერთიანებაა გახსნილი გლუვი წირებისა, რომელთაც წყვილ-წყვილად შეიძლება საერთო ჰქონდეთ მხოლოდ ბოლო წერტილები).

ნ. მუსხელიშვილმა ნ. ვეკუასთან ერთად ი. პლემელის

ერთი გამოკვლევის (1908 წ.) არსებითი შევსებისა და განვითარების გზით ააგო (6) ამოცანის სრული თეორია კლასიკურ შეზღუდვებში, როცა  $\Phi$  საძიებელი ვექტორ-ფუნქციაა,  $G$  მოცემული არაგანსაკუთრებული მატრიც-ფუნქციაა  $L$  - ზე შეკრულ წირზე,  $g$  მოცემული ვექტორ-ფუნქციაა  $L$  - ზე. სკალარული შემთხვევისაგან განსხვავებით. ერთგვაროვანი ამოცანა (6) (ე. ი. როცა  $g = 0$ ) ვექტორულ შემთხვევაში, საზოგადოდ, არ იხსნება ცხადად კვადრატურებში. ამ ამონახსნთა აგება მოითხოვს გარკვეულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნთა აგებას. მიუხედავად ამისა, ნ. მუსხელიშვილმა შეძლო აეგო ცხადი ფორმულა (6) ამოცანის ინდექსის გამოსათვლელად. ამ შედეგებზე დაყრდნობით, აღნიშნულმა ავტორებმა ააგეს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების თეორია.

იმ შედეგებიდან, რომლებიც ნ. მუსხელიშვილმა დაადგინა (7) ამოცანასთან დაკავშირებით, აღნიშნავთ მის სრულ გამოკვლევას კლასიკურ შეზღუდვებში, როცა მოცემულ  $a, b, c$  ფუნქციებს სასრული რაოდენობის პირველი გვარის წყვეტის წერტილები მოეპოვება; აღნიშნავთ აგრეთვე კავშირის დადგენას, რომელიც არსებობს (6) და (7) ამოცანებს შორის, როცა  $L$  წრეწირია.

როგორც უკვე აღინიშნა, ნ. მუსხელიშვილის შედეგებმა, რომელთა მოკლე მიმოხილვა ზემოთაა მოტანილი, უდიდესი გავლენა მოახდინა სათანადო პრობლემათა თეორიის განვითარებაზე როგორც ჩვენს კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიების გამოქვეყნების შემდეგ, რომლებიც ითარგმნა და გამოიცა უცხოეთში ინგლისურ და გერმანულ ენებზე, მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაფართოვდა სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობა ამ მონოგრაფიების თემატიკაზე, ისევე როგორც ამ თემატიკასთან ახლოს მდგომ პრობლემებზე. ამ უკანასკნელთა შორის დავასახელებთ: ერთგანზომილებიან სინგულარულ განტოლებებს, რომლებიც, ჰაუსდორფის აზრით, არ არიან ნორმალურად ამოხსნადი; სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს არადიაგონალური განსაკუთრებულობებით, მრავალგანზომილე-

ბიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს. ვინერ-ჰოპფის განტოლებებს და სხვ.

ა. ბიწაძე, ბ. ხვედელიძე

## NIKO MUSKHELISHVILI

(A brief review of his scientific and public activities)

Niko I. Muskhelishvili, an outstanding mathematician and mechanic, is widely known to scientists and specialists all over the world. He was one of the founders of the celebrated Soviet school of the theory of elasticity and the recognized head of mechanics in our country; he was the originator and mastermind of a large mathematical centre in Georgia. Muskhelishvili was also the first and permanent President of the Academy of Sciences of the Georgian SSR – a position he held for over 30 years. Through these activities he influenced greatly the development of science in our country.

N. I. Muskhelishvili holds a place of high esteem in the ranks of celebrated Georgian public figures whose lives will always serve as a model for the generations to come. On 20 July 1976 his body was interred by the grateful Georgian people at the Mtatsminda pantheon of the celebrated sons of Georgia.

Muskhelishvili was born on February 16, 1891 in Tbilisi into the family of a military engineer. Having finished the gymnasium in Tbilisi, he entered the Faculty of Physics and Mathematics at St. Petersburg University in 1909. After graduating in 1914, he became a professor at the Chair of Mechanics. At that time the Chair of Mechanics was directed by the well-known scientist D. K. Bobylev. In his research Professor G. V. Kolosov, who served at the same chair, successfully applied the methods of the theory of functions of a complex variable to solve problems of elasticity. These subjects attracted young Muskhelishvili and already in 1915 his first study (in collaboration with G. V. Kolosov) «On the equilibrium of elastic circular discs» appeared. In this work an explicit solution of the basic boundary value problem of the plane elasticity of a circular region was given. Muskhelishvili's intensive research in the mathematical theory of elasticity and mathematical physics dates from that time. At the same time he embarked on active educational work which lasted throughout his life. While in Petrograd, he taught mathematics and

mechanics at the University and at some higher technical schools of the then capital of Russia.

In 1920 Muskhelishvili accepted an invitation of the Academic Council of Tbilisi University and headed the Chair of Mechanics. On returning to his homeland, on the one hand, he vigorously continued his scientific work which he had begun in Russia and, on the other; he embarked, along with A. M. Razmadze, G. N. Nikoladze and A. K. Kharadze, on active public and educational activity with a view to organizing higher physical, mathematical and technical education in Georgia. Muskhelishvili conducted able scientific and organizational work as Dean of the Polytechnical Faculty of Tbilisi University (1926-1928), as Pro-Rector of the Georgian Polytechnical Institute (1928-1930) and as Dean of the Faculty of Physics and Mathematics – first at the Pedagogical Institute and then at Tbilisi University (1930-1936).

In the process of his teaching activity Muskhelishvili wrote three original textbooks for students in Georgian: in analytical geometry (1922), theoretical mechanics, Part I, statics (1926), and Part II, kinematics (1928). Later his textbook in analytical geometry was reprinted several times in Russian, in Moscow, and has been used until quite recently in all higher schools of the Soviet Union.

In 1922 Muskhelishvili's first monograph «Application of Cauchy Type Integrals to Some Problems of Mathematical Physics» was published in French by Tbilisi University Press. In the same year he was elected professor on the basis of this work.

It should be noted that from the very beginning of his scientific work Muskhelishvili was interested in problems of mathematics which arise in mechanics, physics, engineering and natural sciences. In this he was clearly influenced by the glorious traditions of the St. Petersburg mathematical school where he studied and his creative talent flourished. These traditions stemmed from such outstanding representatives of the above-mentioned school as Euler, Ostrogradsky, Chebyshev, Lijapunov, Markov, Steklov and others. Through his research Muskhelishvili contributed much to the development of the traditions of the Petersburg Mathematical School.

Already in pre-Revolutionary Russia it was convincingly shown by N. E. Zhukovski and S. A. Chaplygin in their basic studies in hydroaeromechanics that the analytic function theory of a complex variable contains great potentialities for the solution of a number of important applied problems. Their idea was later successfully confirmed by the studies of G. V. Kolosov and N. I. Muskhelishvili on the theory of elasticity. In this respect Muskhelishvili's second monograph «Some basic problems of the mathematical theory of elasticity», published by the Academy of Sciences of the USSR in 1933 was of particular importance. Later it was reprinted four times and had a tremendous influence on the development of the mathematical theory of elasticity (particularly the plane theory) both in the Soviet Union and abroad. Many of the prominent representatives of the mathematical theory of elasticity that appeared in the field during the past half a century were either Muskhelishvili's pupils or had been brought up on his works. It is worth recalling here that in the 30s Muskhelishvili often lectured on the theory of elasticity before students and post-graduates in Leningrad.

Investigation of problems of elasticity by recourse to the methods of the theory of analytical functions of a complex variable convinced Muskhelishvili that a better adjustment of the above methods to the study of problems of mathematical physics called for the construction of a general theory of the boundary value problems of analytic functions of a complex variable and closely connected one-dimensional singular integral equations with the Cauchy kernel. Muskhelishvili began researching these problems in the late 30s, and subsequently, in the early 40s, he organized a seminar in Tbilisi on the Cauchy type integral theory and its applications. That seminar played a leading role in the construction of the theory of boundary value problems of the theory of functions and that of singular integral equations. The main results achieved at the seminar were presented by Muskhelishvili in his third monograph «Singular Integral Equations\*», first published in Moscow in 1946 (later it was reprinted twice). This monograph greatly affected the further development of a number of fields of modern mathematics, mechanics and physics. In it a complete theory of the boundary value problems of analytic functions and



singular integral equations with the Cauchy kernel was constructed in the classes of Holder functions.

